სოციალური ინოვაციები
socialinnovation.ge

ASHOKA

აშოკა და მისი სტიპენდიანტები

SOCIALINNOVATION.GE

აშოკა და მისი სტიპენდიანტები

რა არის აშოკა?

ტექნიკურად სახელწოდება მომდინარეობს იმპერატორ აშოკასაგან, რომელიც მოღვაწეობდა მე-3 საუკუნეში და როგორც ცნობილია, ავრცელებდა სოციალურ კეთილდღეობასა და მშვიდობას მთელი ინდოეთის ტერიტორიაზე.

აშოკა – ეს არის სოციალური ინოვატორებისა და მეწარმეების წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც სოციალურ ინოვაციებსა და მეწარმეობის კონცეფციებზე დაყრდნობით, შეიმუშავებენ პროექტებს, რომლებიც მიმართულია მთელს მსოფლიოში არსებული სოციალური პრობლემების ფართო სპექტრისაკენ. აშოკა დაარსებულია აშშ-ში ბილ დრეიტონის მიერ 1980 წელს. დრეიტონის შთაგონების წყარო იყო მაჰათმა განდი და ამერიკის სამოქალაქო უფლებების დამცველი მოძრაობა. ამჟამად აშოკა მოღვაწეობს მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში და ჰყავს 3500-ზე მეტი აშოკას სტიპენდიანტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მისი ფილოსოფია ეფუძნება რწმენას, რომ ყოველ ადამიანს თავად შეუძლია იყოს ცვლილებების შემოქმედი ანუ მას შეუძლია თავად იმოქმედოს პრობლემების გადასაჭრელად თავის საზოგადოებაში. ცვლილებების ავტორები შეიძლება იყვნენ: სოციალური მეწარმეები, ინოვატორები, ბიზნესის ლიდერები, პოლიტიკის შემქმნელები და აქტივისტები.

რა არის აშოკას ფილოსოფია?

რადგან სამყარო უთანასწოროდ მკვეთრადაა დაყოფილი და ეს უთანასწორობა მზარდია, აუცილებელია განხორციელდეს მრავალი ცვლილება სხვადასხვა დონეზე. ასეთი ცვლილებების განსახორციელებლად ცვლილებების ავტორებს სჭირდებათ ახალი კრიტიკული უნარების ცოდნა. აშოკას სჯერა, ასეთი უნარების დანერგვა კოგნიტური თანაგრძნობის, სოციალური მეწარმეობისა და მულტისექტორული თანამშრომლობის გზით, ხელს შეუწყობს მყარი და ფასეული გადაწყვეტილებების შემუშავებას.

რას აკეთებს აშოკა?

აშოკა გამოავლენს მათ ვისაც ცვლილებების განხორციელება შეუძლიათ და მხარს უჭერს მათ იმ ნოვატორულ იდეებს, რომლებიც ფასეულია საზოგადოებისათვის. უწევს მათ მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას, რათა ეს იდეები სოციალური მეწარმეობის ბიზნეს მოდელად აქციონ და ჩამოაყალიბონ, დახვეწონ და გაანაწილონ საზოგადოების სასარგებლოდ. გარდა ამისა აშოკა თანამშრომლობს ბიზნეს მრჩეველებთან, ბიზნეს სკოლებთან და სოციალურ მეწარმეებთან, რათა ხელი შეუწყონ ბიზნეს მოდელების განვითარებას, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობებს, წყვეტენ პრობლემებს, ზრდიან სოციალურ ზემოქმედებას, ინდივიდების სრული პოტენციალის ჩართულობით.

რა არის აშოკას სტიპენდია? ვინ არიან აშოკას სტიპენდიანტები?

35 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აშოკამ ააწყო და შექმნა მსოფლიოში წამყვანი მეწარმეების უდიდესი ქსელი. აშოკაში სტიპენდიანტებს ირჩევენ გულმოდგინე სელექციის შემდეგ. აშოკას სტიპენდიანტობა გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, სადაც ყოველი წევრი ვალდებულია შეიტანოს წვლილი საზოგადოებრივი კეთილდღეობაში. აშოკას სტიპენდიანტები არიან მსოფლიოს წამყვანი სოციალური მეწარმეები. ისინი გვევლინებიან ნოვატორული იდეების ავტორებად, რომლებიც ახდენენ საზოგადოებრივი სისტემების ტრანსფორმირებას. მოაქვთ სიკეთე მრავალი ადამიანისათვის და აუმჯობესებენ მილიონობით ადამიანის ცხოვრებას. ისინი ამარაგებენ საზოგადოებას ახალი საგზაო რუკებით, რაც ადამიანებს ახალ გარემოში განვითარების საშუალებას აძლევს, აწვდიან მათ პრობლემების გადაჭრის გზებსა და პრაქტიკულ რჩევებს. აშოკას სტიპენდიანტები არიან თანამედროვე მსოფლიოში მიბაძვის მაგალითი. ისინი ცვლიან სამყაროს.

სად შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება აშოკას შესახებ?

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიეთ: **https://www.ashoka.org/en**

აშოკას ზოგიერთი სტიპენდიანტი და მათი იდეები



ეკონომიკური გაძლიერება

სონია პასი- Free Form (შეერთებული შტატები)

ფინანსური დაუცველობა – ეს არის ნომერ პირველი მიზეზი, რის გამოც ოჯახური ძალადობის მსხვერპლები რჩებიან ან ბრუნდებიან მოძალადესათან, ხოლო ოჯახური ძალადობა, შეერთებულ შტატებში, ქალებსა და ბავშვებში უსახლკარობის მთავარ მიზეზად რჩება. სონია პასის აშოკას სტიპენდიანტს 2019 წლიდან, ოჯახურ ძალადობის წინააღმდეგ მოძრაობის ყურადღება გადააქვს კრიზისული რეაგირების აზროვნებიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სტაბილურობის გაძლიერებისაკენ. ის ოჯახური ძალადობის მოძრაობასა და აქტივობებს აერთიანებს თავის ორგანიზაციაში თავისუფალი ფორმა (Free Form). მისი პროგრამები მიმართული და ფოკუსირებულია მსხვერპლთა შესაძლებლობების განვითარებაზე, ამის მისაღწევად ტექნოლოგიების ინოვაციურ გამოყენებაზე და სისტემურ დონეზე ცვლილებების განხილვისაკენ: რათა მსხვერპლებმა შეძლონ ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვება და შეიქმნას მათი დახმარების საზოგადოება. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ **https://www.ashoka.org/en/fellow/sonya-passi**.



განათლება

საიმონ კოლი (Simon Köhl) – serlo.org (გერმანია)

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას აქვს მაღალი ქულები PISA-ს კვლევების მიხედვით, OECD კვლევების მიხედვით ქვეყანა ჩამორჩება მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელით, რაც ძირითადად გამოწვეულია მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. serlo.org პლატფორმაზე დაყრდნობით სიმონ კოლმა შეიმუშავა ახალი მძლავრი რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის და ხელს უწყობს სწავლების ინდივიდუალურ სისტემაზე გადასვლას კლასებსა და სახლში. იყენებს რა ამ პროცესში ღია საგანმანათლებლო რესურსების შესაძლებლობებს. კოლის სტრატეგიის საფუძველს მოხალისეების მობილიზება წარმოადგენს, რომლებიც უფასო სწავლებაზე არიან თანახმა. ვიკიპედიას მსგავსად კონტენტის მოხალისე ავტორთა საზოგადოება გახლავთ serlo.org-ის მარგალიტი. რაც უფრო მეტი ადამიანი ამატებს და იყენებს მასალებს, მით უკეთესი ხდება ეს პლატფორმა. სანამ კონტენტს გამოაქვეყნებდნენ, მანამ რედაქცია ამოწმებს შეესაბამება თუ არა მთელი კონტენტი ხარისხის სტანდარტს, ფედერალური სწავლების პროგრამებს და უკავშირდება თუ არა პლატფორმაზე არსებულ სხვა მასალებს. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ **https://www.ashoka.org/en-us/fellow/simon-kohl**



გარემო

ხულიო ალვარესი – Grupo Promesa (მექსიკა)

მექსიკა დგას დიდი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე წყალზე მიუწვდომლობისა და ნარჩენების სათანადოდ მართვის არარსებობის გამო. იგი აწარმოებს თითქმის 37 მლნ ტონა ნარჩენს წელიწადში, მაგრამ მათგან გადამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ 14%. ადამიანთა შორის გარემოს მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობამ გაამწვავა ეკოლოგიური პრობლემები. ხულიო ალვარესი, აშოკას სტიპენდიანტი 2018 წლიდან, ამ პრობლემების მოგვარებას ცდილობს სკოლის თემების გაერთიანების შედეგად მისი პროგრამის Grupo Promesa ფარგლებში, რათა დაინერგოს გარემოზე მავნე ზემოქმედების შესუსტების მექანიზმები და გარემოს მდგრადი განვითარების კულტურა. Grupo Promesa ჯგუფებმა სკოლებში რეგულარული, ყოველდღიური მუშაობის შედეგად 130 000 მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობლებს, გაუჩინეს მოტივაცია გაეხსნათ ეკოლოგიური სკოლები, სადაც შეეძლებათ თავიანთი იდეებით განახორციელონ სხვადასხვა ეკო პროექტებისი და გადამუშავების პროგრამები. Grupo Promesa პროგრამებმა და თავდაუზოგავმა შრომამ მექსიკაში ბევრი დიდი კომპანია და გარემოს დაცვის სამინისტრო შთააგონა და მათ დაიწყეს თანამშრომლობა Grupo Promesa-თან ნარჩენების მართვის საკითხებში და გარემოს გაუმჯობესების საკითხებში. მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ **https://www.ashoka.org/en-us/fellow/julio-alvarez.**



სიღარიბის შემცირება

ალისონ სილვა – Bolivia Emprende (ბოლივია)

აღსანიშნავია, რომ ბოლივიის მოსახლეობის უმეტესობა კვლავ ღარიბი რჩება. ალისონ სილვამ შექმნა მეწარმეობის პირველი ონლაინ პლატფორმა ბოლივიაში Bolivia Emprende, რომელსაც ის აკავშირებს უფრო ტრადიციულ საინფორმაციო საშუალებებთან, რათა მიიღოს უფასო ინფორმაცია და რესურსები წვრილი მეწარმეებისათვის. პლატფორმა არის მოვლენების, ხელმძღვანელ პირთა რჩევების, წარმატებების ისტორიის, ეკონომიკისა და მეწარმეობის შესახებ ინფორმაციული ცენტრი ბოლივიაში. ეს არის პირველი უფასო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სიახლეების მიწოდებას მეწარმეობის, კომპანიების ჩამოყალიბების შესახებ, რჩევებს მეწარმეობისთვის და ლიდერობისთვის. ის ეხმარება მცირე ბიზნესს და განსაკუთრებით ქალებს გააფართოვონ შესაძლებლობები. ელისონმა უკვე შეიმუშავა მეთოდოლოგია თავის ორ პროგრამაზე, რომ უზრუნველყოს ტირაჟირების შესაძლებლობები და გეგმავს მის გაფართოებას პერუში, ეკვადორში, პარაგვაისა და ჩრდილოეთ არგენტინაში მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. ის აგრეთვე ისწრაფვის იქონიოს გავლენა ბოლივიის სახელმწიფო პოლიტიკაზე ბიზნესის რეგისტრაციის საკითხში და ფინანსების რესურსებთან წვდომის საკითხში. მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ ბმულს: **https://www.ashoka.org/en-us/fellow/allison-silva**



სოციალური ინტეგრაცია

იონას შტაუბი – Blindspot (შვეიცარია)

შვეიცარიაში ბავშვების განათლების ორი ცალკეული სისტემა: შეზღუდული შესაძლებლობებით ან მის გარეშე ზემოქმედებას ახდენს მათ სოციალიზაციაზე და ერთმანეთთან ინტეგრაციაზე. აღიარებს რა ამ შეუსაბამობას, იონას შტაუბი ავითარებს ინკლუზიურობის ნამდვილ არსს, აერთიანებს ამ ორ სტუდენტურ თანასაზოგადოებას ერთ არენაზე: ინოვაციური მომსახურების ფართო სპექტრითა და შესაძლებლობებით Blindspot ორგანიზაციის საშუალებით. რის შედეგად ბავშვები და ახალგაზრდები შეზღუდული შესაძლებლობებით, უფრო ძლიერად და უკეთ გრძნობენ თავს, ხოლო ადამიანები, რომლებიც არ ამყარებდნენ რეგულარულ კონტაქტებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან, იძულებულები ხდებიან მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, როგორც მათთან თანასწორები. ცვლილებები დაიწყო ბავშვებისათვის განკუთვნილი სპორტული ბანაკებიდან, თუმცა დღეისათვის არის პროგრამები ზრდასრულებისა და პროფესიონალებისათვის.

წაიკითხეთ მეტი აშოკას სტიპენდიანტების შესახებ 2018 წლიდან, იონას შტაუბი და მისი სამუშაო ბმულზე: **https://www.ashoka.org/en/fellow/jonas-staub.**



სოციალური ინოვაციები
socialinnovation.ge

ASHOKA